

თჰუ
სამართლის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა

სხდომა №2

თბილისი

23 თებერვალი 2010 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესორი კახი ყურაშვილი, ასოც. პროფესორი გიორგი თუმანიშვილი, ასოც. პროფესორი დავით გეფერიძე, ასისტენტ-პროფესორები ანასტასია აბაიაძე და ლევან მახარაშვილი

სხდომის თავჯდომარე : პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის მარი ფუტკარაძის მობილობის წესით თჰუ სამართლის ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პრაგრამის სტუდენტად გადმოყვანის საკითხი

მოისმინეს: თჰუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ მარი ფუტკარაძე სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე. მან თსუ–ში სწავლის პერიოდში მოაგროვა სასწავლო კრედიტები, იმ საგნებში, რომლებიც გათვალისწინებულია თჰუ სამართლის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამით, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მარი ფუტკარაძემ სწავლა გააგრძელოს თჰუ–ში სამართლის ფაკულტეტზე. ფაკულტეტის საბჭომ განიხილა აღნიშნული უნივერსიტეტის მიერ გაცემული ცნობა აკადემიური მოსწრების შესახებ. ასევე, თსუ დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის საბაკალავრო პროგრამა შეუდარდა თჰუ სამართლის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას, რის საფუძველზეც წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დასკვნა.

აზრი გამოთქვეს: ასისტ. პროფესორმა ლევან მახარაშვილმა, ასოც. პროფესორმა გ. თუმანიშვილმა

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

- ა) აკადემიური მოსწრების ცნობის მიხედვით მარი ფუტკარაძის მიერ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესწავლილი დისციპლინებიდან ჩაეთვალოს და შესაბამისად დაუკრედიტდეს შემდეგი:

№	საგნის დასახელება	კრედიტების რაოდენობა
1.	აკადემიური წერა	5
2.	უცხო ენა	10
3.	საქართველოს ისტორია	5
4.	ქართული სამართლის ისტორია	5
5.	სახელმ. და სამ. მსოფ. ისტორია	5
	სულ:	30

ბ) მარი ფუტკარაძე ჩაირიცხოს თჰუ სამართლის ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მეორე სემესტრის სტუდენტად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :

კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი:

ე. ირემაძე

დანართი:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების შედარების აქტი,

ბ) დასკვნა